პროლეტარეთო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ORGAN ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1976 ოთხშაბათი 7 აპრილი № 81 (16511) ფასი 2 კაპ. 1976

ქუთაისი — სარეკლამო, ექექტიანობის — ლუმინელი

ვიშრომოთ რიტმულად, ნაყოფიერად!

„პრავდის“ ფურცლებზე

გაზეთის გუშინდელი მეთაური წერილი („წერილის ქვედითობა“) „კომუნისტის“ დღევანდელ ნომერშია გადმობეჭდილი.

გამოქვეყნებულია აზერბაიჯანის სსრ მშრომელთა სოციალისტურ ვალდებულებები 1976 წლისათვის — „ცოდნა და გამოცდილება — ხუთწლედს“.

პირველი გვერდის რუბრიკებია — „საშაბათო გადაძახილი“, „საგაზაფხულო მარფრუტებით“, „შეჯიბრების დღიური“, „საერთაშორისო ინფორმაცია“.

ჟურნალისტი ავტომობილმშენებლები კარგი საქმეებით აღნიშნავენ მეათე ხუთწლედის პირველ წელიწადს. მათ ახალი სახის სატვირთო ავტომობილების გამოცდა დაიწყეს. აღსანიშნავია, რომ ამ ავტომობილების პირველი გამოცდის უფლება მიენდო სკკპ XXV ყრილობის დელეგატს, სოციალისტური შრომის გმირს ბ. ვაშაკიძეს. ამას გაზეთის ფურცლებზე წერს „პრავდის“ საკუთარი კორესპონდენტი ბ. ლებანიძე („სატვირთო მანქანა გამოცდაზე“, რუბრიკა — „შაქრი და კომენტარი“). ქარხნის მთავარი ინჟინერი ო. გენეძეხაძე კორესპონდენტთან საუბარში ახალი ავტომობილების შესახებ აღნიშნავს, რომ ამ მანქანებში საჩრქნოდლად აპალეგულია ტექნიკური დონე, საიმედოობა, ხარისხობრივი და საეკონომიკო ციო მაჩვენებლები.

მეორე და მესამე გვერდის რუბრიკებია: „პარტიული ცხოვრება“, „კურსი — ეფექტიანობა“, „ტექნიკური პროგრესის მარშრუტებით“, „კრიტიკის შემდეგ“, „ბიოგრაფიის დასაწყისი“, „ყოველი დღის სამსახური“, „ლენინური პრემიის მოსაკო

გავზარდოთ ციტრუსის წარმოება, მივაღწიოთ სტაბილურ მოსავალს

მეციტრუსეთა რესპუბლიკური თათბირი

საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე კარგი ნიადაგურ-კლიმატური პირობებია სხვადასხვა სუბტროპიკული კულტურის მოყვანისათვის. რესპუბლიკა საბჭოთა კავშირში ჩაის, ციტრუსის, დაფნის ფოთლის, ტუნგის ძირითადი მწარმოებელია.

ხხვა კულტურებთან ერთად ჩვენში კი დიდი ყურადღება ეთმობა მეციტრუსეობას. მატულობს მანდარინის, ლიმონის, ფორთოხლის ფართობები და იზრდება მათი ნოსავლიანობა. განსაკუთრებით გაიზარდა მოსავლიანობა ამ უკანასკნელ ხანს. მაგრამ მოთხოვნილება ციტრუსზე სულ უფრო იზრდება: გარდა იმისა, რომ ციტრუსი გემრიელი და სურნელოვანია, მას მაღალი დიეტური და სამკურნალო თვისებებიც აქვს.

დარგის შემდგომი განვითარების საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ 1975 წლის ნოემბერში მეციტრუსეობის შესახებ მიღებული დადგენილების შესრულების საკითხები განიხილეს რესპუბლიკური თათბირზე, რომელიც ანასეულში გაიმართა.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელი მუშაკები, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთისა და აჭარის საოლქო კომიტეტების მდივნები, საქართველოს კომპარტიის რაიკომების მდივნები და რაიაღმასკომების თავმჯდომარეები, საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, კოლმეურნეობების თავმჯდომარეები, სუბტროპიკულ მეურნეობათა წარმოების მოწინავენი, სპეციალისტები, მეცნიერები.

თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ზ. პაპალარიძემ.

მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ზ. გელდიაშვილმა.

მოხსენების გამო კამათში გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ი. უნგიაძე, აფხაზეთის ასსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი ა. ცოგბენია, საქართველოს კომპარტიის მახარაძის რაიკომის პირველი მდივანი ე. მალაზონია, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის გენეტიკისა და სელექციის კათედრის გამგე ფ. მამფორია ხობის რაიონის ხეთის მეციტრუსების საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი ბ. ბუაკაძე, ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მმართველი რ. ფანცხავა, საბჭოთა კავშირის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სელექციის განყოფილების გამგე შ. ბოლიაძე, გალის რაიონის კოხორის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი გ. ჩაჩიბაია, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ა. კიკანაველიძე. საბჭოთა კავშირის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის აგრომეტეოროლოგიის განყოფილების გამგე ა. ჭანუკვაძე, ზუგდიდის რაიონის სოფელ ცაიშის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბ. ბოხუა, საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ზ. ხანთაკე.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. შევარდნაძემ.

სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული საქართველოს მეციტრუსენი ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა ქვეყნის მშრომელებს მიაწოდონ სულ უფრო მეტი მაღალი ხარისხის ციტრუსი. მათ კარგად ესმით, რომ შრომის საკავშირო დანაწილებაში საქართველო ციტრუსის ძირითადი მწარმოებელია და ამიტომ მხურვალედ მოჰკიდეს ხელი დავალებებისა და გადიდებული სოციალისტური ვალდებულებების შესრულებას. საქმე ეხება მანდარინის, ფორთოხლის, ლიმონის ფართობების შემდგომ გადიდებას და იმას, რომ უხე მოსავალს იძლეოდეს ყოველი ჰექტარი, ყოველი ძირი. ამისათვის რესპუბლიკის ყველა მეციტრუსეობის რაიონს, ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას აქვს უმდიდრესი შესაძლებლობანი, გამოუყენებელი რეზერვები. აამოქმედონ და უნარიანად გამოიყენონ ისინი, გაზარდონ ციტრუსის წარმოება — ეს ჩვენი სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის მშრომელთა ღირსების საქმეა.

საქართველოს მეციტრუსეებს ციტრუსოვანთა ნარგავების მოვლის მნიშვნელოვანი გამოცდილება აქვთ. მაგრამ ცალკეულ წლებში ძლიერმა ყინვებმა სითბოსმოყვარული კულტურებს დიდი ზიანი მიაყენეს. მაგალითად, ასე იყო 1963-1964 და 1971-1972 წლების სუსხიანი ზამთრის დროს.

სოფლის მშრომელებმა უდიდესი გარჯა ჩაიქსოვეს იმ საქმეში, რომ აღედგინათ ყინვით დაზიანებული ბაღები, გაეზარდათ ციტრუსის წარმოება. მეციტრუსეებს თავდადებული შრომა უნდა მოსავლით დაუფასდათ. მეციტრუსეობის მთელი ისტორიის მანძილზე რეკორდული მოსავალი — 141 ათასი ტონა ციტრუსი მიეღოთ მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს.

ყველა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ გაანაღდა ციტრუსის დამზადების სახელმწიფო გეგმები. 1975 წლისა და მოლიანად მეცხრე ხუთწლედის გეგმებისა და ვალდებულებების ზოგიერთ შესრულებისათვის გაწეული სოციალისტურ შეჯიბრებაში მაღალი მაჩვენებლები მოიპოვეს აჭარის ასსრ მეციტრუსეებმა. მათ ხუთწლიანი გეგმის გადაჭარბებით დამზადეს 120 ათასი ტონა ნაყოფი. მარტო შარშან სახელმწიფოს მიჰყიდეს 95 ათასი ტონა ციტრუსი — გეგმაზე 15 ათასი ტონით მეტი. სოფლის მეურნეობის ამ დარგის მოგებამ შეადგინა 2.937 ათასი მანეთი, რაც გეგმაზე მნიშვნელოვნად მეტია.

ხუთწლიანი დავალება გადაჭარბებით შეასრულეს აგრეთვე აფხაზეთის ასსრ, მახარაძის, ლანჩხუთის, ზუგდიდის, ხობის, ცხაკაიას რაიონების მეურნეობებმა. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი გალის რაიონის კოხორის საბჭოთა მეურნეობის მეციტრუსეებმა. ამ ჰექტარობრივმა მოსავლიანობამ შეადგინა 135 ცენტნერი. კოხორელებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 3.879 ტონა ციტრუსი გეგმით გათვალისწინებული 2 210 ტონის ნაცვლად. საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა 1975 წლის შედეგებით გაიმარჯვა სოციალისტურ შეჯიბრებაში და მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

დამკვრელური შრომით აღინიშნა ჯასული ხუთწლედი გაგრის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობამაც, რომელმაც ხუთწლედის დამამთავრებელ წელს 277 პროცენტით შეასრულა საწელიწოფოსათვის ციტრუსის მიყიდვის გეგმა.

სოციალისტურ შეჯიბრებაში მეცხრე ხუთწლედის უკანასკნელი წლის გეგმებისა და ვალდებულებების შესრულებაში წარმატებანი მოიპოვეს ქობულეთის რაიონის ჩაქვის, ციხისძირის საბჭოთა მეურნეობებმა, ულიანოკის, ზენითისა და დაგვის კოლმეურნეობებმა, მახარაძის რაიონის ურეკის საბჭოთა მეურნეობამ და სხვა მეურნეობებმა.

შეჯიბრების მოწინავენი გახდნენ შრომის დამკვრელები — ლ. თოკანაძის ბრიგადის წევრები ჩაქვის საბჭოთა მეურნეობაში. ბრიგადამ გაპირავნებული 13 ჰექტარ ბაღში მოკრიფა 4.200 ცენტნერი ციტრუსი. მაღალი მაჩვენებლები მოიპოვა მახარაძის რაიონის სოფელ გურიანთის კოლმეურნემ ა. თოიძემ, რომელმაც 1,1 ჰექტარ ნაკვეთზე მოკრიფა 26 ცენტნერი მანდარინი გეგმით გათვალისწინებული 60 ცენტნერის ნაცვლად. კიდევ უფრო უხვი მოსავალი — 720 ცენტნერი მანდარინი ორ ჰექტარ ნაკვეთზე მოიწია მახარაძის რაიონის ურეკის საბჭოთა მეურნეობის მუშამ დ. კავთიშვილმა.

მოწინავე მეურნეობათა, საუკეთესო მეციტრუსეოსტატთა გამოცდილება ყველას კეთილად უნდა გახდეს. ხუხი მოსავლის საწინდარია აგროტექნიკის წესების ზუსტად დაცვა, ამ კულტურების მოვლა-მოყვანის პროგრესული მეთოდების ფართო დანერგვა.

მეციტრუსეობა მშრომატევადი კულტურაა. ერთი ჰექტარი ბაღის მოვლას 400-500 კაცდღე ესჭიდება. მთელი წლის განმავლობაში ფუსფუსებენ ადამიანები ბაღებში—აფხეკენრებენ მწკრივთშორისებს ნიადაგს, შეაქვთ მინერალური და ორგანული სასუქები, ამუშავებენ ხეებს სამკურნალო პრეპარატებით, ფუთავენ და იცავენ მათ ყინვისა და თოვლისაგან.

მაგრამ, როგორც თათბირზე აღინიშნა, მთელი რიგი მეურნეობები არ იცავენ აგროწესებს, ბაღების მოვლის კომპლექსს, არღვევენ სასუქების შეტანის ვადებს, არ იყენებენ მეცნიერთა რეკომენდაციებს. მეცნარეებს განსაკუთრებით აზიანებენ მავნებლები და დაავადებანი. სამწუხაროდ, ბევრ მეურნეობაში მათ წინააღმდეგ გეგმაზომიერად და ეფექტიანად არ ებრძვიან. არის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც სჯერდებიან სამკურნალო პრეპარატებით ხეთა მხოლოდ ერთჯერად შესხურებას. სწორედ ამის გამო აზიანებენ ნაყოფს მავნებლები, დაბალია მისი ხარისხი, არ არის სტანდარტული.

მეციტრუსენი სამართლიან პრეტენზიებს უყენებენ მეცნიერებსა და სპეციალისტებს, რომლებმაც ბევრი რამ უნდა გააკეთოს დაავადებებისა და მავნებლებისაგან ციტრუსოვანთა ეფექტიანი დაცვისათვის, ამასთანავე უნდა გაუმჯობესდეს ციტრუსოვანთა დაცვის პრეპარატები და მეთოდები და შეიქმნას ახალი, უფრო ქმედითი. საკირო განსორციელდეს კომპლექსური აგროტექნიკური, ბიოლოგიური, ქიმიური და პროფილაქტიკური ღონისძიებანი. ლიმონს დიდ ზიანს აყენებს მალსკოს დაავადება. ეს ბაღების ნამდვილი უბედურებაა. მეცნიერებმა უნდა შეიმუშაონ ამ დაავადების წინააღმდეგ ბრძოლისა და მისი სრული აღმოფხვრის ეფექტიანი ღონისძიებანი. თათბირის მონაწილეთა გამოსვლებში იგრძნობოდა დიდი შეშფოთება ციტრუსოვანთა ბაღების სიმეჩხრის ჯერ კიდევ მაღალი პროცენტის გამო. მაგალითად, ზუგდიდის რაიონის მეურნეობებში იგი 40 პროცენტს შეადგენს, მახარაძის მეურნეობებში — 18 პროცენტს, ლანჩხუთის მეურნეობებში — 15 პროცენტს.

ბაღების სიმეჩხრის ლიკვიდაციის საქმეში მნიშვნელოვანი გამოცდილება შეიძინეს აჭარის მეციტრუსეებმა, სადაც ბაღების სიმეჩხრე თითქმის ლიკვიდირებულია. საკირო აჭარის ციტრუსეთა გამოცდილება დაინერგოს სხვა მეურნეობებშიც. თათბირის მონაწილეებმა გამოთქვეს ერთსულოვანი აზრი, რომ უახლოეს ორსამ წელიწადში ბაღების სიმეჩხრის ლიკვიდაციის საკითხი მთლიანად რესპუბლიკაში წარმატებით გადაწყდება. ამისათვის, უწინარეს ყოვლისა საჭიროა უზრუნველვყოთ მეურნეობები მაღალხარისხოვანი ნერგებით, შეექმნათ საადგილო ბაღები.

თათბირზე ისიც ითქვა, რომ ბევრი რამ უნდა გაკეთდეს მეციტრუსეთა შრომის შემსუბუქებისათვის. მეცნიერები და სპეციალისტები დიდ ვალში არიან მათ წინაშე. დღემდე ვერ მოხერხდა ნაწილობრივ მაინც შემსუბუქებულიყო ძმაბე შრომა ბაღებში, უფრო მეტიც, ჰიანურდება სიახლეთა დანერგვა, რომლებიც მეცნიერებმა უკვე კარგა ხანია შეიმუშავეს და რეკომენდაცია მისცეს წარმოებისათვის. სპეციალისტთა მიერ აპრობირებული ტექნიკური სიახლენი უფრო გაბედულად უნდა დაინერგოს პრაქტიკაში. ყოველივე ახალი, პროგრესული, ყველა კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის კუთვნილება უნდა გახდეს. რესპუბლიკაში გვყავს მეცნერთა და პრაქტიკოსთა საკმაო ძალები, რომლთა შემოქმედებითი აზრი უნდა ხმარდებოდეს ახალი ტექნიკის, მანქანებისა და ამპრეტების შექმნას, ისე, რომ სპირდებათ ჩვენს მეციტრუსეობის მეურნეობებს.

განსაკუთრებით მწვავედ დაისვა საკითხი სასუქების დროული და რაციონალური გამოყენების შესახებ. მოიყვანეს მაგალითები, როცა სასუქები არ შეაქვთ კარტოფამების მიხედვით, ირღვევა მეურნეობებისათვის მათი მიწოდების ვადები. ხშირად ზოგიერთი მეურნეობა სასუქს ბარბი რაოდენობით იღებს, მაშინ როცა სხვები მის ნაკლებობას განიცდიან. საქმე ისე უნდა მოვაგვაროთ, რომ სასუქები არ იკარგებოდეს ტრანსპორტირების დროს, არ ფუჭდებოდეს ღია ცის ქვეშ. გონივრულად უნდა ნაწილდებოდეს მინერალური სასუქები რაიონებსა და მეურნეობებს შორის. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები დიდი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდონ მინდობილ საქმეს. უნდა შეგვეძლოს იმ სასუქების, მასალების, მანქანებისა და მოწყობილობის უნარიანი მანევრირება, გამოძებნა და შოვნა, რომლებიც გვაკლია.

დაწვრილებითი განხილვის საგანი იყო ახალი უხმოსავლიანი, მალსეკოგამძლე და ყინვამედეგი ჯიშების ციტრუსოვანთა შექმნის საკითხი. აღინიშნა მანდარინის „ქართული საადრეოს“ მაღალი თვისებები, რომელიც სხვა ჯიშებზე 20-25 დღით ადრე ისხამს ნაყოფს, დაასახელეს ლიმონის რამდენიმე პერსპექტიული ჯიში. მაგრამ ახალი ჯიშები ნელა ვრცელდება. უფრო მეტიც, ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ვისწავლეთ საუკეთესო ჯიშებისა და ფორმის ციტრუსოვანთა კულტურების შესაძლებლობათა სრული გამოყენება. ტაჯიკეთში, რომელიც დამორებულია შავი ზღვის ნაპირებს, ქართული ლიმონი უხვ მოსავალს იძლევა, სამშობლოში კი იგი ფართოდაც არ გავრცელებულა.

დასახულია მეციტრუსეობის შემდგომი განვითარების პრაქტიკულ ღონისძიებათა კომპლექსი. ახალი ბაღები გაშენდება კოლხეთის დაბლობის ამოშრობილ მიწებზე.

ბევრი რამ უნდა გაკეთდეს ციტრუსის მოვლა-მოყვანის კულტურის შემდგომი ამაღლებისათვის, მეციტრუსეობის მართვის სპეციალიზაციისა და კონცენტრაციისათვის, მისი სტრუქტურის გაუმჯობესებისათვის. აღებულია კურსი, რომ კიდევ უფრო გაეზარდოთ ციტრუსოვანთა მთლიანი მოსავლიანობა, მივაღწიოთ სტაბილურ მოსავალს.

თათბირის მონაწილეებმა გამოთქვეს მტკიცე რწმენა, რომ რესპუბლიკის სუბტროპიკული მეურნეობის მშრომელები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა ღირსეული წვლილი შეიტანონ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში, მიაღწიონ ახალ წარმატებებს ციტრუსის წარმოებაში.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჯ. პატიაშვილი, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრი ნ. ჭითანავა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე ო. ვარძელაშვილი. (საინფორმი).

ქარხნიდან — მინდორში

ახლა, როცა სოფლად გაჩაღებულია საგაზაფხულო სამუშაოები, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მინდვრად მინერალური სასუქების შეუფერხებლად მიწოდებას. ამ საქმის ორგანიზაცია კარგად მოაწყეს რუსთავის ქიმიური კომბინატისა და გარდაბნის „საქსოფლტექნიკის“ ხელმძღვანელებმა.

ქარხნიდან მინერალური სასუქების მისაღებად და უშუალოდ მინდვრებში გასაგზავნად წლეულს პირველად გამოიყენეს „საქსოფლტექნიკის“ თვითმცლელი მანქანები და ტრაქტორ-მისაბმელები. ამ მეთოდით ასობით ტონა მინერალური სასუქი შეუფუთავად გაიგზავნა გარდაბნის რაიონის საბჭოთა მეურნეობებში. ხუთაშუა: სასუქის დატვირთვის პროცესი რუსთავის ქიმიური კომბინატის სასაწყობო მეურნეობაში.

ბ. ჯანდიერის ფოტო.

თეორიული კონფერენციები. მოხსენებები

◆ ქობულეთი. პარტიის რაიკომმა და ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორთა ჯგუფმა მოაწყეს თეორიულ-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდა იდეოლოგიური დარგის მუშაკთა მთავარი ამოცანაა.

მოხსენებები წაიკითხეს პარტიის რაიკომის მდივანმა ნ. დუმბაძემ, პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტებმა შ. ჯაფარიძემ, ალ. გომრონიძემ და ლექტორმა ვ. ბოლქვაძემ.

მ. გიორგაძე.

◆ ორჯონიკიძე. „სკკპ XXV ყრილობის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა“ — ასეთი იყო თეორიულ-პრაქტიკული კონფერენციის თემა, რომელიც ამ დღეებში პარტიის რაიკომმა და ნაზოგადოება „ცოდნამ“ მოაწყეს.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა პარტიის რაიკომის მეორე მდივანმა ჰ. შარიქაძემ. მოხსენებები წაიკითხეს ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა გ. მარგიანმა, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატმა, დოცენტმა ა. ბერიძემ და ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატმა, დოცენტმა კ. დოლიძემ.

ბ. ბანტურია.

ფეიქართა სადღეისო საზრუნავი

ხუთწლედს — მუშური გარანტია

მეათე ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის გაშლილ შრომის ფერხულში გორელი ფეიქრებიც ჩაებნენ. სოციალისტურმა შეჯიბრებამ მთლიანად მოიცვა წარმოების დიდი და მცირე უბანი. ჯერ კიდევ მაშინ, როცა ჯამოქვეყნდა ცნობა მორიგი, XXV ყრილობის მოწვევის შესახებ, კომბინატში გაჩნდა თაოსნობა — გაიშალა შეჯიბრება სკკპ XXV ყრილობის სახელის მოპოვების უფლებისათვის. შეჯიბრების ინიციატორმა, № 2 საქსოფ ფაბრიკის ქვეოსტატმა ა. ბულგაკოვმა მაშინ ივალდებულა ყრილობის გახსნის დღისათვის გაუნაღდებინა ორი თვის სახელმწიფო გეგმა, ხოლო ახალი ხუთწლედი შეესრულებინა სამ წელსა და სამ თვეში. გარდა ამისა, ბულგაკოვის ბრიგადა ვალდებულებას იღებდა რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვით წარმოებისათვის მიეცა 15 ათასი მანეთის ეკონომიური ეფექტი და მოემზადებინა 15 ახალგაზრდა მუშა

ინიციატორს მაშინვე გამოეჩნდნენ მიმდევრები. იმავე ფაბრიკაში მისი ინიციატივა მოიწონეს და გადადებული ვალდებულებები იკისრეს მქსოველთა ბრიგადებმა, რომლებსაც ქვეოსტატები გიორგი ოსიშვილი, აკაკი შელქაძე, გიორგი ფილიშვილი და ჯემალ ნოზაძე ხელმძღვანელობენ. № 1 საქსოფ წარმოებიდან კი თაოსნობას მხარი დაუჭირეს კ. ბესტავაშვილის, ბ. ნიშნიანიძის, ი. ბუთხუზის და ს. ბადრიაშვილის ბრიგადებმა.

გორელ ფეიქრებს საუკეთესო ტრადიციები აქვთ: ისინი არამარტო იზიარებენ და პრაქტიკულად ახორციელებენ მოწინავეთა თაოსნობას, არამედ შემოქმედებითად ამდიდრებენ კიდეც მას. ასე მოხდა ა. ბულგაკოვის თაოსნობის დანერგვის დროსაც. ქვეოსტატმა გ. ოსიშვილმა კიდევ უფრო განავითარა ახალი ინიციატივა. მან ხუთწლედის სამ წელსა და ორ თვეში შესრულება ივალდებულა. კ. ბესტავაშვილი კი მეათე ხუთწლედის პირველ ოთხ თვეში დაზოგილი დამხმარე მასალებით იმუშავებს.

ფეიქრები მუდამ სიახლის ძიებაში არიან. არ არის უბანი, მქსოველები და მრთველები მომსახურების გაზრდილ ზონაზე რომ არ მუშაობდნენ. ტიპიური 24-ის ნაცვლად, მქსოველები 30 დაზვის ემსახურებიან, ხოლო მრთველები 1.250 თითისტრის ნაცვლად 1.600-ს. უფრო მეტიც, ზოგიერთი მუშა ორმაგ ნორმას ასრულებს, მუშაობს მომსახურების ორმაგ ზონაზე. ამის საუკეთესო მაგალითს გვაძლევს სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სკკპ XXV ყრილობის დელეგატი თამარ დაღელაშვილი. იგი 1.500 თითისტრის ნაცვლად 2.000 თითისტარს ემსახურება და საუკეთესო ხარისხის ნართს უშვებს. ასევე ორმაგ ზონაზე მუშაობენ მრთველები მარინე ალტუთაშვილი, ლილი ხაჩატურიანი, ზაირა მამედოვა და სხვები.

ჭეშმარიტად ახალგაზრდული შემართება იჩენს მქსოველ მარიამ კაკანაძის მუშაობაში. მარიამს სულ მალე 50 წელი შეუსრულდება, მაგრამ შრომითი ენერგია მას ახალგაზრდული აქვს. ი ეკვე რამდენიმე თვეა იგი 27-ის ნაცვლად 54 საქსოვ დაზგაზე მუშაობს და დაღლას არ გრძნობს.

ფეიქართა შრომითი შემართება კოლექტივის დარაზმულობის გარანტიაა, იმის გარანტიაა, რომ ამოცანებს, რომელსაც ჩვენ პარტია და მთავრობა გვისახავს, შევასრულებთ. ამოცანები კი დიდი და სერიოზულია. გასულ ხუთწლედთან შედარებით ერთწლიანი ნართის საწარმოებლად — 1270 ერთეულია). ამან გაადიდა მანქანათა წარმადობა, გააუმჯობესა საწარმოო სიმძლავრეთა ათვისების დონე, უსაფრთხოების, სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები, და, რაც მთავარია, აამაღლა შრომის ნაყოფიერება.

ახალი ტექნიკის დანერგვა გათვალისწინებულია წლეულსაც, მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კომბინატში ჯერ კიდევ ბევრი დანადგარი მოითხოვს შეცვლას, ბევრი ძმიმე, შრომატევადი სამუშაო ავტომატიზაციისა და მექანიზაციის გარეშე სრულდება. აქ ერთგვარ შეფერხებებსაც აქვს ადგილი. ავატომატიზაცია-მექანიზაციის სრული დანერგვა ჩვენთან ჯერჯერობით შეუძლებელია, რადგან კომბინატში უნდა მოხდეს რეკონსტრუქცია. სარეკონსტრუქციო სანი მეტრის (ოდენობით) და გავზრდით ბამბის წარმოებას, რომელსაც გასულ წელს მიეღიჭა ხარისხის ნიშანი.

[illegible] ახალმწიფო გეგმაც [illegible] შეუძლებელია შრომის ნაყოფიერების გაზრდის, [illegible] ეკონომიუ[illegible] ბრიგადებს, [illegible] ორგანიზაციის [illegible] ეფექტიანობის ამაღლების გარეშე. ეს ჩვენს კოლექტივს ღრმად აქვს შეგნებული.

ასეთი მუშაობის შედეგი იყო, რომ კვარტალის გეგმა ოთხი დღით ადრე შეავსრულეთ, საერთო პროდუქციისა და რეალიზაციის გეგმა გავანაღდეთ, გამოშვებული და რეალიზებულია 848 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. ეს ერთი მილიონი მანეთით მეტია შრომანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით.

ახლა კომბინატში არ არის კოლექტივი, საწარმოო გეგმებს რომ არ ასრულებდეს. ამას ხელს უწყობს საწარმოში ფართოდ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება, მისი ცხოველმყოფელი ძალა. შეჯიბრებამ ჭეშმარიტად მასობრივი ხასიათი მიიღო. ინიციატორებს შეჯიბრებაში გამოწვეულნი უსწრებენ, ოსტატ მქსოველებს და მრთველებს, ძველი კადრის მუშებს ახალგაზრდობა ტოლს არ უდებს, მხარს უსწორებენ და გამარჯვებასაც ზეიმობენ. შეჯიბრებამ ურთიერთგაგების, ურთიერთდახმარებისა და შრომითი მეტოქეობის ახალი, მიმზიდველი ფორმები შექმნა.

დასანანია, რომ ასეთი შრომითი ენთუზიაზმი ზოგჯერ ნელდება საყოფაცხოვრებო და შრომის პირობების ჯერ კიდევ მოუწესებელი საკითხების გამო. ზემდგომი ორგანოების დროული დადგენილებანი [illegible] შრომის ნაყოფიერების გაზრდის, [illegible] ეკონომიუ[illegible] ბრიგადებს, [illegible] ორგანიზაციის [illegible] ეფექტიანობის [illegible] ბრიგადებს [illegible] ეფექტიანობის [illegible] ეფექტიანობის [illegible] ეფექტიანობის

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოში

გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა მუშაობის რესპუბლიკური დათვალიერებისა და კონკურსის შედეგები

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ განიხილეს რაციონალიზატორული და გამომგონებლური, საკონტრო-საალაფეზოო მუშაობის რესპუბლიკური დათვალიერებისა და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა ეფექტიანი გამოყენებისათვის კონკურსის შედეგები. აღინიშნა, რომ 1975 წელს მოწყობილმა დათვალიერებამ და კონკურსმა, რომელთა მიზანი იყო საწარმოო პროცესების მექანიზაცია და ავტომატიზაცია, ნედლეულის, ხალობისა და მასალების დაზოგვა, შრომის ნაყოფიერების გადიდება და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, ხელი შეუწყო მშრომელთა შემოქმედებითი აქტივობის ზრდას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შემდგომ განვითარებას, მოამზირნეობის რაციონალიზატორული ფონდის შესაქმნელად ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებას.

1975 წელს დათვალიერებასა და კონკურსში მონაწილეობა მიიღო 5.903 გამომგონებელმა და რაციონალიზატორმა, რომლებმაც წამოაყენეს 20.348 წინადადება. დასანერგად მიღებული 28.107 წინადადებიდან წარმოებაში გამოყენებულია 23.888. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში ჩვენი რესპუბლიკის გამომგონებლებმა შეიტანეს 999 განაცხადი სავარაუდო გამოგონებაზე. კომიტეტმა გასცა 319 საავტორო მოწმობა, სახალხო მეურნეობაში დაინერგა 352 გამოგონება. გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის შედეგად მიღებულმა წლიურმა ეკონომიამ შეადგინა 47.632 ათასი მანეთი სოციალისტური ვალდებულებით გათვალისწინებული 41.200 ათასი მანეთის ნაცვლად.

მეცხრე ხუთწლედში საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში დაინერგა 1.218 გამოგონება და 111.832 რაციონალიზატორული წინადადება, რომელთა ეკონომიური ეფექტი 195,8 მილიონი მანეთია. ნაკისრი ვალდებულებანი მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ საუკეთესო შედეგების მიღწევისათვის დაჯილდოვეს დათვალიერებისა და კონკურსის გამარჯვებულნი — საწარმოები და ორგანიზაციები, აგრეთვე ყველაზე ეფექტიან გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა ავტორები.

საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, ხოლო საკავშირო დაქვემდებარების დარგების საწარმოთა ხაზით — დარგობრივი პროფკავშირების რესპუბლიკურ კომიტეტებს დაეგვალათ გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების რესპუბლიკურ საბჭოსთან შეთანხმებით შეიმუშაონ 1976 წელს გამომგონებლობისა და რაციონალიზაციისათვის შიდადარგობრივი სოციალისტური შეჯიბრების ახალი პირობები და პირველ მაისამდე დაამტკიცონ სამინისტროების, უწყებების კოლეგიებმა, დარგობრივი პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტების პრეზიდიუმისა და გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის გაერთიანებულ სხდომაზე.

საუკეთესო მაჩვენებლებისათვის დაჯილდოვდნენ:

„ა“ ჯგუფის საწარმოთა ხაზით:

პირველი პრემიებით — რუსთავის მეტალურგიული და ქიმიური ქარხნები, თბილისის ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხანა;

მეორე პრემიებით — თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხანა, გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანა, სარკე მექანიკური და ხისდამუშავებელი კომბინატები, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მანქანათსაშენებელი ქარხანა, ქუთაისის გ. კ. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანა, ცხინვალის ქარხანა „ელექტროგამზომქარხანა“;

მესამე პრემიებით — ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგური, ჭიათურის მანგანუმის სამთამადნო კომბინატი, რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხანა, თბილისის გაზაპარატურის ქარხანა, საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატი“, ანალიზური ხელსაწყოთმშენებლობის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს საცდელი ქარხანა, ელექტროსიიზოლაციო მასალების ქარხანა, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვას“ სამართავი გამოსათვლელი მანქანების ქარხანა და № 2 ფეიჯის ფაბრიკა, ქუთაისის ლითოფონის ქარხანა, ზესტაფონის ქარხანა „საქაბელი“, სოხუმის ხელსაწყოების ქარხანა, რუსთავის ცემენტის ქარხანა, სამტრედიის ხისდამუშავებელი კომბინატი.

„ბ“ ჯგუფის საწარმოთა ხაზით:

პირველი პრემიებით — საქართველოს სამრეწველო გაერთიანება „საქართველოს ჩაი“, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 9 საერთო-სამშენებლო ტრესტი, სოხუმის № 1 სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმო, საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს რესპუბლიკური რადიოსატელევიზიო გადამცემი ცენტრი, საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს ახალციხის კავშირგაბმულობის საექსპლოატაციო-ტექნიკური კვანძი, „საქელექტრომონტაჟის“ ტრესტის თბილისის № 1 და № 2 სამონტაჟო სამართველოები;

მესამე პრემიებით — თბილისის № 1 მექანიკური ქარხანა, № 1 წისქვილქარხანა, პირველი სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმო და საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგური, თბილისის ტელეგრაფი, ქუთაისის გ. ი. ლენინის სახელობის მაუდის ფაბრიკა, რუსთავის ალაოსა და ხოლის წყლების კომბინატი, სოხუმის თამბაქოს ფაბრიკა, გორის მეთაფური ყველ-კარაქის ქარხანა, ბათუმის მექანიკური ქარხანა, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სოხუმის რაიმრეწკომბინატი, „საქსოფლტექნიკის“ თეთრი წყაროს რაიონული განყოფილება, სოხუმის № 4 წისქვილქარხანა, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 3 ტრესტი, № 1 ტრესტის № 1 სამშენებლო სამართველო და ბზიფის სახლთსაშენებელი კომბინატი, „საქმექანმონტაჟის“ ტრესტის ასამუშავებელ-გამმართველი სამმართველო.

სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციები

„ა“ ჯგუფი

პირველი პრემიით — რუსთავის მრეწველობის საწარმო პროცესების ავტომატიზაციის საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტი „ავტომატმრეწვი“;

მეორე პრემიებით — ელექტრონულ-იონური ტექნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ანალიზსელსაწყოს“ ანალიზური ხელსაწყოთმშენებლობის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს საცდელი ქარხანა, ხაშურის მინის ტარის ქარხანა, თბილისის ზორკცომბინატის ორგანულ-თერაპიული პრეპარატების ქარხანა, „საქსოფლტექნიკის“ გეგეჭკორის რაიონული განყოფილება, „საქსოფლტექნიკის“ სამხრეთ ოსეთის სოლოკი განყოფილება, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მექანიზაციის სპეციალიზებული ტრესტი, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 4 სამშენებლო ტრესტი, ქუთაისის № 4 სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმო, საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს რესპუბლიკური რადიოსატელევიზიო გადამცემი ცენტრი, საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს ახალციხის კავშირგაბმულობის საექსპლოატაციო-ტექნიკური კვანძი, „საქელექტრომონტაჟის“ ტრესტის თბილისის № 1 და № 2 სამონტაჟო სამართველოები;

მესამე პრემიებით — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამთო მექანიკის ინსტიტუტი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი.

ყველა პრემირებული საწარმო და ორგანიზაცია დაჯილდოდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს სიგელებით.

დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა ეფექტიანი გამოყენებისათვის კონკურსის გამარჯვებულნი.

„ა“ ჯგუფის საწარმოთა ხაზით გამოგონებებისათვის პირველი პრემია მიიღო 11 კაცმა, მეორე პრემია — 3 კაცმა, „ბ“ ჯგუფის საწარმოთა ხაზით — პირველი პრემია — 2 კაცმა, მეორე პრემია — 1 კაცმა.

„ა“ ჯგუფის საწარმოთა ხაზით რაციონალიზატორული წინადადებებისათვის პირველი პრემიით დაჯილდოდა 27 კაცი, მეორე პრემიით — 39 კაცი, მესამე პრემიით — 55 კაცი.

„ბ“ ჯგუფში რაციონალიზატორული წინადადებებისათვის პირველი პრემია დაიმსახურა 41 კაცმა, მეორე პრემია — 66 კაცმა, მესამე პრემია — 50 კაცმა.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა ეფექტიანი გამოყენებისათვის კონკურსის ყველა გამარჯვებული დაჯილდოდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს სიგელებით. (საქინფორმი).

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი

ამ რამდენიმე დღის წინათ ლ. ნ. სმირნოვის თავმჯდომარეობით გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს მორიგი პლენუმი.

პლენუმმა მიიღო სახელმძღვანელო განმარტებანი სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ბართლმსაჯულების განხორციელების დონის ამაღლების შესახებ. პლენუმმა სასამართლო ორგანოებს დაავალა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ სახელმწიფო, შრომისა და საწარმოო დისციპლინის შემდგომი განმტკიცების, სოციალისტური საკუთრების ხელყოფის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის, სახელმწიფოს მოტაცების, მფლანგველობის, უყაირათობის შემთხვევების აღმოფხვრის, უხარისხო პროდუქციის გამოშვებასთან და ბრძოლის, გარემოს დაცვის საკითხებს.

პარტიის მიერ დასახული სოციალური განვითარებისა და ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების პროგრამის შესასრულოებლად პლენუმის დადგენილებაში ხაზგასმულია სასამართლოების მზარდი როლი საბჭოთა მოქალაქეების პიროვნების, მათი სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ღირსების, უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის უზრუნველყოფაში, სასამართლოებმა განსაკუთრებული ყურადღებით უნდა განიხილონ სისხლის სამართლის საქმეები ძიროვნების წინააღმდეგ მძიმე დანაშაულის შესახებ, ხულიგნობისა და სხვა ამ ქმედობის შეაზებ, რომელიც დაკავშირებულია მოქალაქეთა ხელყოფასთან, ძალადობით, რომ სასამართლო პროცესები ხელს უწყობდნენ სამართალდამრღვევთა საჯარო გმობის ვითარების შექმნას. სასამართლოების ყურადღება მიეპყრო იმას, რომ საჭიროა თანმიმდევრულად გაძლიერდეს ბრძოლა ლოთობასთან და ალკოჰოლიზმთან, რომელთა ნიადაგზე ჩადენილია სამართალდარღვევათა უმრავლესობა.

მოქალაქეთა შრომითი, საბინაო და სხვა პირადი და ქონებრივი უფლებების დაცვის ინტერესების საფუძველზე პლენუმმა სასამართლოებს მოსთხოვა გაუმჯობესონ მუშაობა სამოქალაქო საქმეების, განსაკუთრებით კი ისეთი საქმეების განხილვისათვის, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოო საქმიანობასთან, შრომის ანაზღაურებასთან, შრომის დისციპლინის დაცვასთან.

პლენუმმა სასამართლოებს ყურადღება მიაპყრო იმას, რომ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად საჭიროა უმკაცრესად იყოს დაცული სოციალისტური კანონიერება, გაუმჯობესდეს სასამართლო საქმეების განხილვის ხარისხი და ამაღლდეს კულტურა, რაც სასამართლოების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი საფუძვლი. განმტკიცებაში და ხელი უნდა შეუწყოს პარტიის მიერ დასახული პრობლემის გადაჭრას — კომუნისტური საზოგადოების აგებაზე.

განხილეს სასამართლო საქმიანობის სრულყოფასთან დაკავშირებული სხვა საკითხებიც.

პლენუმმა განიხილა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარისა და სსრ კავშირის გენერალური პროკურორის პროტესტები, რომლებიც შეტანილი იყო სასამართლო საქმეთა გამო.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის გენერალური პროკურორი რ. ა. რუდენკო და სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე ა. ი. სუხარევი.

ფაქტები მოვლენები პროგლემები

საკვანძო და უცხოეთის პრესის სააგენტოები იტყობინებიან

ლიბანი

პარლამენტის სხდომა გადაიდო

ბეირუთი. (საკადესი). ქვეყანაში კვლავ ძალაშია სამხედრო დაზავება, რომელიც 2 აპრილს გამოცხადდა პარლამენტის მიერ რესპუბლიკის ახალი პრეზიდენტის ასარჩევად პირობების შექმნის მიზნით. მიუხედავად ამისა, თუმცა შეწყდა დიდი სამხედრო შეტაკებანი, მაინც არის სროლის ცალკეული შემთხვევები. დაზავების სამი დღის მანძილზე დედაქალაქსა და ქვეყნის სხვა რაიონებში 150-ზე მეტი კაცი დახოცეს.

გაურკვევლობა დროით გადაიდო ლიბანის პარლამენტის დღეისათვის დანიშნული სხდომა. პარლამენტმა უნდა მიიღოს კონსტიტუციის შესწორება, რომელიც სახელმწიფოს ახლანდელი მეთაურის უფლებამოსილებათა ვადის გასაგრძელებელ ახალი პრეზიდენტის არჩევის საწინააღმდეგოდ ეფუძნება. სხდომა გადაიდო იმის გამო, რომ მოქიშპე დაჯგუფებათა წარმომადგენლები დღემდე ვერ შეთანხმებულან, ხად და როდის მოაწყონ პარლამენტის სხდომები.

ახალი ეტაპი

ვენა, (საკადესი). ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ჰელსინკის თათბირის საბოლოო აქტით ახალი ეტაპი დაიწყო საერთაშორისო ცხოვრებაში, ხაზგასმით აღნიშნავს ავსტრიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ე. შარფი სტატიაში, რომელიც ჟურნალ „ვეგ უნდ ცელში“ გამოქვეყნდა.

ჰელსინკში მიღებული გადაწყვეტილებები, აღნიშნავს ავტორი, ეს არის კონტინენტზე სხვადასხვა საზოგადოებრივი და ეკონომიური სისტემის სახელმწიფოთა არა მარტო დეტალურად დაფორმულებული პირობები; ჰელსინკის გადაწყვეტილებანი მოასწავებენ არა მარტო დაძაბულობის შენელებას, თანამშრომლობასა და ახალი ურთიერთობის განვითარებას; ჰელსინკის გადაწყვეტილებები — ეს არის უწინარეს ყოვლისა მეორე მსოფლიო ომის შედეგად ევროპაში შექმნილი საზღვრების აღიარება. საერთაშორისო ურთიერთობაში სტატუს-კვოს უზრუნველყოფა, განაგრძობს ჟურნალი, არ ნიშნავს შინაპოლიტიკურ და სოციალურ-პოლიტიკურ სტატუს-კვოს. ბრძოლის ახალი პირობები დასავლეთ ევროპის კაპიტალისტური სახელმწიფოების მუშათა კლასს ახალ პერსპექტივებს და ახალ შესაძლებლობებს უსახავენ სოციალისტური პროგრესისათვის საბრძოლველად.

გამოიცა ესპანურ ენაზე

ლიმა. (საკადესი). პერუში ესპანურ ენაზე გამოიცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება „სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში“, აგრეთვე ამსანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა ყრილობის დახურვისას.

ბუენოსაირესი. (საკადესი). ეკვადორელ კომუნისტთა გაზეთმა „პუებლომ“ სპეციალურ დამატებაში გამოაქვეყნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება. აქვე ყრილობაზე ეკვადორის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის პედრო საადის გამოსვლა. დამატებაში დაბეჭდილია საბჭოთა კომუნისტების ფორუმისადმი მიძღვნილი ბევრი ფოტოსურათი.

ფილიპინის ამბები

ერთიანობა და შეკავშირება

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის XV ყრილობის შესახებ

პრაღა. (საკადესი). „ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის რაიონული, საქალაქო და საოლქო კონფერენციების მუშაობამ კვლავ დადასტურა, რომ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტია თავის XV ყრილობას ეგებება უადრესად ერთიანი და შეკავშირებული, რომ კომუნისტებმა მზად არიან ყოველი ღონე იხმარონ იმ ამოცანების გადასაჭრელად, რომელსაც ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის XV ყრილობა დაუსახავს პარტიასა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთელ ხალხს“, — წერს გაზეთი „რუდე პრავო“, რომა კომენტარს უძღვნის ჩეხოსლოვაკიის კომპარტიაში დამთავრებულ ყრილობებზეს საანგარიშო-საარჩევნო კამპანიას.

პარტიულ კონფერენციებზე კომუნისტები ხიბლაფი ლაპარაკობდნენ, რომ რესპუბლიკის ყველა ოლქის მრეწველობამ შეასრულა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მეხუთე ხუთწლიანი გეგმის დავალებანი, რომ ამის მეოხებით კარგი საფუძველია შექმნილი ახალი ხუთწლეულის კიდევ უფრო რთული გეგმების შესრულებისათვის.

ჩრდილოეთ ჩეხიის ოლქის კონფერენციაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ წარმატებები ეკონომიკის განვითარებაში შესაძლებელი გახდა სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ განვითარების შედეგად, რომ შრომაში ტონს აძლევს ოლქში სოციალისტური შრომის 14 ათასი ბრიგადა, რომლებშიც გაერთიანებულია წარმოების 180 ათასი მოწინავე. ჩრდილოეთ მორავიის ოლქის კონფერენციაზე აღნიშნავდნენ, რომ სამრეწველო წარმოების მოცულობა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ამ ყველაზე ინდუსტრიულად განვითარებულ რაიონში ხუთი წლის მანძილზე 34,8 პროცენტით გაიზარდა.

კომუნისტები ინტერესით იხილავდნენ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის 1976-1980 წლების სოციალურ-ეკონომიური განვითარების დირექტივების პროექტს. ერთსულოვნად გამოთქვამდნენ აზრს, რომ პროექტი რეალურია, თუმცა მისი განხორციელებისათვის საჭირო იქნება დიდი მეცადინეობა.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის პარტკონფერენციების დელეგატებმა დიდი ყურადღება დუთმეს პარტიის საერთაშორისო პოლიტიკის, სოციალისტური თანამეგობრობის შემდგომი განმტკიცების საკითხებს.

იუწყება რა კონფერენციების მიმდინარეობის შესახებ, „რუდე პრავო“ წერს, რომ დელეგატების გამოსვლები დამახასიათებელი ნიშანი იყო იმის შეგნება, რომ „სოციალიზმის გზით ჩეხოსლოვაკიის საზოგადოების სტაბილური განვითარება შესაძლებელი გახდა სოციალისტური ქვეყნების მზარდი ძლიერების მეოხებით, რომლებსაც სათავეში უდგას საბჭოთა კავშირი. ამასთან დაკავშირებით დელეგატებმა ხაზი გაუსვეს XXV ყრილობის უდიდეს საერთაშორისო მნიშვნელობას, რომლის შედეგები გამოცდილების, ცოდნისა და ახალი შთაგონების წყარო გახდა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიისათვის თავისი XV ყრილობის წინ“.

კორტუგალია

მშრომელთა უფლებების დასაცავად

ლისაბონი. (საკადესი). ათასობით ლისაბონელი მონაწილეობდა მიტინგში, რომელიც პორტუგალიის კომპარტიამ მოაწყო იმის გამო, რომ ქვეყანაში ოფიციალურად დაიწყო საარჩევნო კამპანია. პორტუგალიის კომპარტიის ხელმძღვანელებმა შეკრებილთ წარუდგინეს კომპარტიისაგან რესპუბლიკის კრებაში ასარჩევი კანდიდატები, ილაპარაკეს დემოკრატიისათვის, მშრომელთა უფლებების დაცვისათვის ბრძოლის შესახებ.

მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა პორტუგალიის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ალვარო კუნიალმა. მან აღნიშნა, რომ პარლამენტის არჩევნების შედეგებს დიდი მნიშვნელობა ექნება უახლოესი წლებისათვის პორტუგალიის პოლიტიკის განსასაზღვრავად.

როგორც ა. კუნიალმა თქვა, კომპარტიის ძირითადი მიზანია შექმნას სოციალისტებთან ერთად მემარცხენე ძალების უმრავლესობა პარლამენტში. მან მოუწოდა ამომრჩევლებს ხმა მისცენ კომპარტიის კანდიდატებს.

ა. კუნიალმა თქვა, რომ პორტუგალიაში ჯერ კიდევ ყველგან არ არის შესაძლებლობა, რომ თავისუფლების პირობებში მოეწყოს არჩევნები. ახლა, როცა კონსტიტუცია საჯაროდ გამოქვეყნდა, თქვა მან, ბოლო უნდა მოეღოს რეაქციონერების, აშკარა ფაშისტური ძალებისა და მათი მემარცხენე ექსტრემისტი აგენტების პროვოკაციულ საქმიანობას, სამართალში მივცეთ და მკაცრად დავსაჯოთ ისინი, ვისაც ბრალი მიუძღვის ცეცხლის წაკიდებასა და ბომბების აფეთქებაში, ვინც აქეზებს ძალმომრეობას.

კაპიტალის სამყაროში



ავსტრალია

სიდნეიში გაიმართა დემონსტრაცია და მიტინგი, რომლის მონაწილეებმაც გააკრიტიკეს მთავრობის პოლიტიკა. როგორც მიტინგზე სიტყვით გამოსული მშრომელთა წარმომადგენლები აღნიშნავდნენ, ეს პოლიტიკა მიზნად ისახავს ავსტრალიის ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრებაში ამერიკის შეერთებული შტატების უპირატესი და ყოვლისმომცველი გავლენის შენარჩუნებას.

კანადა

მონრეალში შეტაკება მოხდა პოლიციასა და მასწავლებელთა გაფიცვის მონაწილეთა შორის, რომლებიც მოითხოვენ ხელფასის მომატებას. შეტაკების დროს რამდენიმე კაცი დაიჭრა.

იუპი-საკადესის ტელეფოტო.

ჯ. კალაგენი — ინგლისის ახალი პრემიერ-მინისტრი

ლონდონი. (საკადესი). ინგლისის ახალი პრემიერ-მინისტრი გახდა ჯეიმს კალაგენი, რომელსაც დღემდე საგარეო და თანამეგობრობის საქმეთა მინისტრის პოსტი ეკავა. იგი ლეიბორისტული პარტიის ლიდერად აირჩიეს გადამდგარი ჰ. ვილსონის ნაცვლად, და, როგორც პარლამენტში უმრავლესობის პარტიის ლიდერმა, ავტომატურად დაიკავა მთავრობის მეთაურის პოსტი.

კენსინგტონის მესამე ტურის შემდეგ ჯ. კალაგენს ხმა მისცა თემთა პალატის წევრმა 176 ლეიბორისტმა. მეორე კანდიდატს, პარტიის მემარცხენე ფრთის წარმომადგენელს, დასაქმების საკითხთა მინისტრს მ. ფუტს ხმა მისცა 137 კაცმა.

ადგილობრივ მიმომხილველთა აზრით, ეს მოწმობს, რომ ლეიბორისტულ პარტიაში გაძლიერდა მემარცხენე ძალების გავლენა: მარცხენა ფრთის კანდიდატს ჯერ არასოდეს არ მიუღია ამდენი ხმა.

ჯ. კალაგენი პრემიერ-მინისტრის პოსტს იკავებს იმ მოგენტნაზე, როცა ინგლისი მძიმე ეკონომიურ კრიზისს განიცდის, და ამიტომ, როგორც ფიქრობენ, მისი პირველი ამოცანა იქნება ბრძოლა ქვეყნის ეკონომიური სიძნელეების წინააღმდეგ.

ჯეიმს კალაგენი დაიბადა 1912 წელს ქალაქ პორტსმუტში. პარლამენტში პირველად აირჩიეს 1945 წელს და მას შემდეგ ინარჩუნებს ადგილს თემთა პალატაში.

1964 წელს იგი გახდა ლეიბორისტული მთავრობის ფინანსთა მინისტრი, შემდეგ 1970 წლამდე ეკავა შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი, 1974 წლის მარტიდან ხელისუფლების ხათავეში ლეიბორისტთა დაბრუნების შემდეგ იგი საგარეო და თანამეგობრობის საქმეთა მინისტრია ჰ. ვილსონის კაბინეტში.

ჯ. კალაგენი ლეიბორისტულ პარტიაში შევიდა 1931 წელს, არის ამ პარტიის თვალსაჩინო მოღვაწე, მისი ეროვნული ალმასკომის წევრი.

ჯ. კალაგენი არაერთგზის ყოფილა საბჭოთა კავშირში, უკანასკნელად — 1975 წელს პრემიერ-მინისტრ ჰ. ვილსონთან ერთად.

კშშ

კენტაგონის გეგმების წინააღმდეგ

ვაშინგტონი, (საკადესი). შეერთებულ შტატებში ძლიერდება პროტესტები იმ გეგმების წინააღმდეგ, რომ ამერიკის სტრატეგიული ძალები შეიარაღონ „ბ-1“ ახალი ბომბდამშენებით ნაცვლად „ბ-52“ ბომბდამშენებისა. ახალი სერიის შექმნას დახარჯდება 20 მილიარდი დოლარი, რომ ალარაფერი ვთქვათ ბომბდამშენების შეიარაღების მომარაგებისა და მომსახურების ხარჯებზე.

ქვეყნის ბევრი ალად მოაზროვნე პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე აღნიშნავს, რომ „ბ-1“ ახალი ბომბდამშენის შექმნას არავითარი საჭიროება არ მოითხოვს. 30-მდე საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ, მათ შორის ამერიკის მეცნიერთა ფედერაციამ, ქიმიური მრეწველობის მუშათა პროფკავშირმა, მაღაროელთა გაერთიანებულმა პროფკავშირმა, გადაწყვიტა მოაწყოს ამ თვეში ამერიკის შეერთებული შტატების 25 ქალაქში ფართო კამპანია ლოზუნგით „შეეჩეროთ „ბ-1“ ბომბდამშენების მშენებლობა“. მასობრივი გამოსვლები გათვალისწინებულია, კერძოდ, ფილადელფიაში, ჩიკაგოში, სპოკანში, პიტსბურგში, სან-ფრანცისკოში.

უბრალო ამერიკელებს მიაჩნიათ, რომ ახალი შეიარაღებისათვის უზარმაზარი სახსრების გამოყოფა სრულიად გაუმართლებელია. განსაკუთრებით სოციალური საქმიანობის ხარჯების შემცირების პირობებში, რაც ქვეყანაში ინფლაციასა და ეკონომიურ დაქვეითებასთან „ბრძოლის“ საბაბით ხდება. თვითეული ბომბდამშენის ღირებულება (პენტაგონი კი მოითხოვს 244 თვითმფრინავის მშენებლობას) სულ ცოტა 80 მილიონ დოლარს შეადგენს. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი თანხა დაიხარჯება ბომბდამშენის შესაიარაღებელ რაკეტებზე და „ბ-1“ ბომბდამშენის გასაწყობი თვითმფრინავების მშენებლობაზე.

ამერიკის საზოგადოებრიობა და პრესა აცსადებენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სერიოზული ეკონომიური სიძნელეების პერიოდში „ბ-1“ ბომბდამშენისათვის გაუმართლებელი დიდი ხარჯების გარდა შეიარაღების უახლესი სისტემების შექმნა გამალებული შეიარაღების ახალი ეტაპი იქნება და ავნებს საერთაშორისო ვითარების ნორმალიზაციის პროცესს.

საკადესი

ყვიელა



კონტინენტიდან

პრაღა

● **პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია მტკიცე პროტესტს აცხადებს მუშათა კომფლიების ხელმძღვანელის მარსელინო კამაჩოსა და ესპანეთის დემოკრატიული ოპოზიციის სხვა ლიდერების დაპატიმრების გამო. საპროტესტო დეპეშაში, რომელიც ესპანეთის შინაგან საქმეთა მინისტრს მანუელ ფრაგა ირიბარნეს გაუგზავნა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის სამდივნომ, მოითხოვა დაუყოვნებლივ გათავისუფლდნენ მარსელინო კამაჩო და სხვა დაპატიმრებული დემოკრატები.**

ბონი

● **„საერთო ბაზრის“ ქვეყნებში გრძელდება ხასურსათო საჭონლის ფასების ზრდა. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სურსათის, სოფლისა და ტყის მეურნეობის სამინისტროს მონაცემებით, 1975 წელს წინა წელთან შედარებით პროდუქტების ფასები გაზარდა ინგლისში — 25,6 პროცენტით, ირლანდიაში — 21,5, იტალიაში — 18,4, საფრანგეთში — 11,1 და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში — 5,3 პროცენტით.**

ტოკიო

● **მთლიანად უმუშევართა არმიამ, პრემიერ-მინისტრთან არსებული კანცელარიის სტატისტიკური ბიუროს მონაცემებით, თებერვლის დამლევს მიაღწია 1.250 ათას კაცს. მარტო ერთი თვის განმავლობაში იგი გაიზარდა 10 ათასით, ხოლო გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით უმუშევართა რიცხვი იაპონიაში 170 ათასი კაცით გადიდდა.**

მოკლედ

ესპანეთი: მდგომარეობა რთულდება

მადრიდი. (საკადესი). ქრისტიანულ-დემოკრატიული მიმართულების ორი პოლიტიკური ორგანიზაციის გასული კვირის ყრილობებმა ცხადყვეს, რომ ესპანეთის ახლანდელი მთავრობის პოლიტიკური ბაზა სულ უფრო ვიწროვდება.

მემარცხენე დემოკრატთა პარტიის ყრილობამ განაცხადა, რომ საჭიროა შევიდნენ ოპოზიციური ძალების ახლად შექმნილ ერთიან კავშირში — დემოკრატიულ კონფედერაციაში. სახალხო-დემოკრატიული ფედერაციის ყრილობამ მიღო გადაწყვეტილება დაიწყოს მოლაპარაკება დემოკრატიულ კონფედერაციასთან შეერთების შესახებ.

დემოკრატიული კონფედერაცია ახლახან შეიქმნა ორი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური ბლოკის — ესპანეთის დემოკრატიული საბჭოსა და დემოკრატიული თანხმობის გაერთიანების შედეგად. მასში ახლა შედის 13 პოლიტიკური პარტია და ორგანიზაცია, მათ შორის კომუნისტური პარტიაც. დემოკრატიული კონფედერაცია მთავარ მიზნად ისახავს ბრძოლას ქვეყანაში ძირეული დემოკრატიული გარდაქმნებისათვის, კერძოდ იმისათვის, რომ ამნისტია მიეცეს ყველა პოლიტიკური პატიმარს, ლეგალურად გამოცხადდეს უკლებლივ ყველა პოლიტიკური პარტია, ცნონ დემოკრატიული პროფკავშირები, მოაწყონ საყოველთაო არჩევნები, უზრუნველყონ დემოკრატიული თავისუფლებები და შეცვალონ რეპრესიული კანონები.

ადგილობრივ მეთვალყურეებს მიაჩნიათ, რომ დემოკრატიულ კონფედერაციაში ზომიერ ქრისტიანულ-დემოკრატიულ და მონარქისტულ პარტიათა და დაჯგუფებათა მონაწილეობა გაართულებს მთავრობის მდგომარეობას. აქ აღნიშნავენ, რომ თვით მთავრობაში უკანასკნელი ღონეების მანძილზე დაიწყო უთანხმობა მისი სამინისტროპოლიტიკური კურსის გამო. ამის უშუალო საბაბი გახდა შინაგან საქმეთა მინისტრის ფრაგა ირიბარნეს ბრძანება დემოკრატიული კონფედერაციის ოთხი ლი

შეხვედრა დელეგატებთან

ქუთაისი. (საკ. კორ.). ამ დღეებში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა მუშაკებმა, პედაგოგებმა და აღმზრდელებმა გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს სკკპ XXV ყრილობის დელეგატებს — ხ. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის დირექტორს ვ. ხარებავას, ამავე ქარხნის მძღოლ-გამომცდელს, სოციალისტური შრომის გმირს ბ. ვაშაკიძეს, აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მუშას ზ. ჯიბლაძეს, ბამბეულის საქსოვი გაერთიანების დირექტორს ც. სანოძეს.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა საქალაქო საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების გამგემ ბ. ფრუიძემ.

გულთბილი შეხვედრისათვის ყრილობის დელეგატთა სახელით დამსწრე საზოგადოებას მადლობა გადაუხადა და ყრილობის შთაბეჭდილებები გაუზიარა საავტომობილო ქარხნის დირექტორმა ვ. ხარებავამ.

ახალი ექსპონატები

ბათუმი. (საკ. კორ.). სსრ კავშირისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის შორის მეგობრობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების 28-ე წლისთავს მიეძღვნა საზეიმო სხდომა, რომელიც აჭარის სახელმწიფო მუზეუმში გაიმართა, მუზეუმი ხომ ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების კოლექტიური წევრია.

მუზეუმში გამოფენილია ექსპოზიცია „სამარადისო ძმობა", რომელიც ახლახან შეივსო ახალი ექსპონატებით. ეს ექსპონატები მარტო საბჭოთა ჯარების გმირობას კი არ ასახავს, რომლებმაც გადამწყვეტი როლი შეასრულეს ფაშიზმის უღლისაგან ბულგარეთის განთავისუფლებაში, არამედ — გასული საუკუნის 70-იან წლებში თურქეთის უღლისაგან ბულგარეთის განთავისუფლების საქმეში რუს და ქართველ მეომართა წვლილსაც.

ყველა დროის ისტორია

სამ ათეულ წელზე მეტი შესრულდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გ. ნ. ჩუბინაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დაარსებიდან.

ინსტიტუტში ფართო დიაპაზონის მეცნიერული კვლევები მიმდინარეობს.

მეცნიერებმა, რომლებმაც რამდენიმე ექსპედიცია მოაწყეს საქართველოში, უძველეს ძეგლებზე ბევრი მასალა შეარჩიეს და შეისწავლეს, რომლებიც საფუძვლად დაედო ფუნდამენტურ შრომებს. გამოიცა საბჭოთა საქართველოს ხელოვნების ისტორიის საკითხებზე დაწერილი წიგნები, აგრეთვე ცალკეული ნაშუშევრები, რომლებიც მიეძღვნა ქართული ხელოვნების გამოჩენილ წარმომადგენლებს.

ქართულ ხელოვნებას განსაკუთრებით სრულად ასახავს მეცნიერთა კოლექტივის მრავალი წლის შრომის ნაყოფი — ხელოვნების ისტორიის ენციკლოპედიული, რომელსაც ახლა გამოსაცემად ამზადებენ.

ფართოვდება ინსტიტუტის ისტორიკოსთა კონტაქტები ქვეყნის სხვადასხვა ქალაქების კოლექტივებთან, აგრეთვე საზღვარგარეთელ სპეციალისტებთან.

ხურათეგზე: ზემოდან — უფროსი მეცნიერი თანამშრომელი თ. საყვარელიძე, უფროსი ლაბორანტი ა. ოქროპირიძე და მეცნიერი თანამშრომელი ნ. ალადაშვილი (მარცხნიდან) სწავლობენ მასალებს საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში; უძველეს ხელნაწერებს ყურადღებით იკვლევს მეცნიერი თანამშრომელი ფ. დევდარიანი; მრავალმხრივია ინსტიტუტის თანამშრომელთა გამოცემული ნაშუშევრების თემატიკა.

ვ. მორგუნოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტი

5 აპრილს მოსკოვში ნ. ს. ტიხონოვის თავმჯდომარეობით გაიხსნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის სესია, რომელის მუშაობაში მონაწილეობდნენ მოსკოვის, ლენინგრადისა და მოკავშირე რესპუბლიკების კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეები.

სესიაზე განიხილეს ნაწარმოებები, რომლებიც შერჩეულია 1976 წლის ლენინური პრემიების მისანიჭებლად კომკურსში მონაწილეობისათვის, და მათი საზოგადოებრივი მსჯელობის შედეგები.

კომიტეტი განიხილავს აგრეთვე 1976 წლის სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების მისანიჭებლად მიღებულ ნამუშევრებს და მათგან შეარჩევს საუკეთესოებს კონკურსში მონაწილეობისათვის.

(საკდესი).

ყოველთაოდ 7 აპრილს აღინიშნება ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო დღე. იგი 1949 წელს ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ასამბლეის გადაწყვეტილებით დაწესდა, რათა ყურადღება მიეპყროთ მედიცინის უმნიშვნელოვანესი პრობლემებისადმი, მოსახლეობაში. ხალხმეცნიერო და სანიტარიულ-ჰიგიენური ცოდნის გავრცელებისადმი. წლეულს ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო დღე ეწყობა დევიზით: „ადამიანი: სიბრძოლის თავიდან აცილება შეიძლება!".

ამ თარიღის წინ საინფორმის კორესპონდენტი ი. გოლდმანი შეხვდა რესპუბლიკის მთავარ ოფტალმოლოგს, პროფესორ ჯ. ანთელავას და ითხოვა ეამბნა, თუ რამდენად აქტუალურია ახლა სიბრძავის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემა, რა მეთოდები აქვს თანამედროვე მედიცინას თვალის დაავადებათა პროფილაქტიკის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის დარგში.

ყოველ წელს მედიცინის მეცნიერება მდიდრდება თვალის სხვადასხვა დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ახალი ეფექტიანი მეთოდებით, მუშავდება ოპერაციების თანამედროვე მეთოდიკები, მზადდება უახლესი სამკურნალწამლო საშუალებები. ყოველივე ეს მედიკოსებს საშუალებას აძლევს დამაჯერებელი გამარჯვებები მოიპოვონ ისეთ დაავადებებზე, რომლებიც წინათ განუკურნებელი იყო, და მხედველობა დაუბრუნონ ადამიანებს. მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არის ბევრი დაავადება, რომლებიც ადამიანებს მხედველობის დაკარგვის საფრთხეს უქადის. იმისათვის, რომ თავიდან ავაცილოთ ადამიანს სიბრძმავე, მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს სენის დროულ გამოვლინებას.

თვალის მძიმე დაავადებათა შორის ყველაზე საშიშია გლაუკომა და შაქრიანი დიაბეტი. გლაუკომას ახასიათებს თვალშიდაწნევის მომატება, რაც, ხშირად, მოულოდნელად ხდება ხოლმე. მის წინააღმდეგ ბრძოლა იმის გამოც რთულდება, რომ ძნელია დაავადების მიზეზების განსაზღვრა. რადგანაც სენი ძირითადად ორმოცი წლის შემდეგ ვლინდება, ყველას, ვინც ამ ასაკს მიაღწევს, ეურჩევთ წელიწადში ერთხელ მაინც მიმართოს ოფტალმოლოგს თვალშიდაწნევის გასაზომად.

რესპუბლიკაში დიდი მუშაობა წარმოებს გლაუკომის აქტიური გამოვლენისათვის. სპეციალური კაბინეტები მუშაობს თვალის დაავადებათა რესპუბლიკურ საავადმყოფოში, პირველი საქალაქო საავადმყოფოს თვალის განყოფილებაში, რესპუბლიკის თვალის დისპანსერში. გარდა ამისა, რესპუბლიკურ თვალის საავადმყოფოსთან შეიქმნა ღამის სტაციონარი, სადაც გლაუკომით დაავადებულებს სამუშაოსაგან მოუწყვეტლივ უზომავენ თვალშიდაწნევის საღღეღამისო ცვლილებებს. რესპუბლიკის მსხვილ საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში პერიოდულად ეწყობა მუშა-მოსამსახურეთა პროფილაქტიკური შემოწმებები გლაუკომის აღრეული გამოვლინების მიზნით. თვალის დაავადებათა დიაგნოსტიკაში უკანასკნელი მიღწევები ბის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის საშუალებას გვაძლევს.

კიდევ ერთი საშიში დაავადებაა შაქრიანი დიაბეტი, რომელიც ღწევს გარკვეულ ცვლილებებს თვალის სისხლძარღვებსა და ბადურაში, რასაც შეიძლება სიბრძავე მოჰყვეს. ამიტომ შაქრიანი დიაბეტით დაავადებული თვითეული ავადმყოფი სისტემატურად უნდა მოწმდებოდეს ოფტალმოლოგთან, სულერთია, აწუხებს თუ არა თვალის ტკივილები.

მხედველობას ხშირად არღვევს თავის ტვინის დაავადებები — სიმსივნეები, სისხლძარღვებისა და ანთებითი ავადმყოფობანი. მათი ადრეული დიაგნოსტიკა ხელს უწყობს მხედველობის დაზიანების წინააღმდეგ ეფექტიან ბრძოლას. ამაზე მუშაობენ მედიცინის სპეციალური მიმართულების წარმომადგენლები — ნეიროოფტალმოლოგები. საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ნეიროლოგიის ინსტიტუტში წარმატებით მუშაობს ოფტალმოლონევროლოგიური ლაბორატორია. სპეციალისტები შეიარაღებული არიან თვალის დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის უახლესი მეთოდებით.

თანამედროვე მედიცინის დამახასიათებელი თვისებურება მისწრაფება მაქსიმალურად გამოიყენოს ზუსტ მეცნიერებათა — ფიზიკის, ელექტრონიკის, მათემატიკის უახლესი მიღწევები.

უკვე შემოშავებულია და აქტიურად იყენებენ ექიმები თვალში სისხლის ჩაქცევის, ტრავმატული კატარაქტის, ზოგიერთი ოპერაციის შემდგომი გართულების ულტრაბგეროვანი მკურნალობის ორიგინალურ მეთოდებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა მოხსენებაში პარტიის XXV ყრილობაზე აღნიშნა, რომ სოციალურ ამოცანებს შორის ყველაზე დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობისათვის ზრუნვა. ამ მუშაობის მკაფიო დადასტურებაა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების შემდგომი სრულყოფის ფართო პერსპექტივები, რომლებიც ქვეყნის კომუნისტთა ფორუმმა დასახა.

ეს მთლიანად ეხება რესპუბლიკის ოფტალმოლოგიური სამსახურის განვითარებასაც. მაგალითად, მეათე ხუთწლედში საექსპლოატაციოდ გადაეცემა რესპუბლიკის თვალის კლინიკური საავადმყოფოს დიდებული კომპლექსი კრწანისში. ეს კიდევ უფრო გააძლიერებს ბრძოლას თვალის დაავადებათა წინააღმდეგ, აღიყვანს მას უფრო მაღალ დონეზე, ხელს შეუწყობს მედიცინის ამ დიფერენციალურ დარგში მეცნიერული კვლევის ფართოდ გაშლას. (საქინფორმი).

7 აპრილი ჯანმრთელობის მსოფლიო დღეა

სიბრძავის წინააღმდეგ

რეპუბლიკათაშორის სამყარო რუხი და მონოტონურია: მის თვალებს, თითქოს შავ-თეთრი ფირით დამუხტული კამერაა, არ შეუძლიათ ფერების გარჩევა. რა გეგონიერებაა, რომ ჩვენ — ადამიანები — იმის მეოხებით, რომ ჩვენი თვალები სრულყოფილია, ვხედავთ მწვანე ბალახსა და თეთრ თოვლს, ყვავილთა მკაფიო ფერის ფურცლებს და ღამის ცაში ნათებას. ჩვენი ცხოვრება სავსეა ფერადებით. შემთხვევითი როდია, რომ ყველაზე ძვირფას რამეზე ამბობენ, თვალისჩინივით გაუფრთხილდიო.

მაგრამ ბუნების დიდი ძღვნის — ხედველობის შენარჩუნება ყოველთვის როდი ხერხდება, ზოგჯერ იგი ეკარგება ადამიანს. განსაკუთრებით სამწუხაროა, როცა ასეთი რამ შეემთხვევათ პატარებს — მათი გონებრივი და ფიზიკური განვითარება ყოვნდება, ხასიათი ეცვლებათ, სხვანაირი ხდება მათი ურთიერთდამოკიდებულება გარშემო მყოფებთან.

თვალის მეტი წილი დაავადებანი ბავშვებს უჩნდებათ სიცოცხლის პირველ 5-6 წელიწადში. ნაწილობრივ ეს იმით აიხსნება, რომ ბავშვის თვალები ანატომიურად და ფუნქციონალურად ჯერ კიდევ სრულად არ არის განვითარებული.

მხედველობის განვითარება, რა თქმა უნდა, არა მარტო ზრდის ვადების შედეგია, არამედ უფრო მეტად იმ პირობებისაც, რომლებშიც ბავშვი იზრდება. მაშასადამე, ბევრი რამ დამოკიდებულია ყველა ჩვენგანზე — მათს მოზრდილ მეურვეებზე! და აქ იბადება პირველი კითხვა: როგორი უნდა იყოს იმ ოთახის განათება, სადაც ბავშვი იმყოფება? შუქი, როგორც ცნობილია უძლიერესი გამაღიზიანებელია ნერვული სისტემისათვის და თვითეულ ადამიანს მასზე თავისი რეაქცია აქვს: ერთს მკაფიო შუქი აბნევებს, მეორეს — ქანცავს. პატარას ჯერ კიდევ არ შეუძლია თქვას: როგორი შუქია მისთვის უკეთესი? მაგრამ რეაგირებს იგი ისევე, როგორც ჩვენ; მოზრდილნი. ბევრი მშობელი ამას, სამწუხაროდ, ანგარიშს არ უწევს. აი დედიკომ შვილის საწოლს ფარდა აიფარა — შუქი რომ არ უშლიდესო. მეორე ბავშვის ლოგინი პირიქით, მიდგმულია ფარდაჩამოკრული ფანჯარასთან: „დე ისარგებლოს მზით — მარგებელიაო". და ორივე შემთხვევაში არასწორად მოიქცნენ. არასაკმარისი გაშუქება, განსაკუთრებით სიცოცხლის პირველ ორ წელიწადს, საკმაოდ ხშირად მიზეზია მხედველობის დაქვეითებისა და ნისტაგმის განვითარებისა — ამ ავადმყოფობის დროს დამახასიათებელია თვალების მუდმივი მოძრაობა. მზის პირდაპირი სხივები ან კაშკაშა შუქი, რომელსაც აბაჟურით დაუცავი ელსაუთრა გამოსცემს, აგრეთვე არახელსაკრელია. ყველაზე უკეთესი განათება გაფანტული, თანაბარზომიერი.

თამაში ბავშვისათვის არა მარტო გასართობია — ეს სერიოზული მიზანმიმართული საქმიანობაა! რომ თამაშობს, ბავშვი სწავლობს ცხოვრებას, გარემომცველებთან თავისი ურთიერთობის ჩამოყალიბებას. „ვერასოდეს ვერ შექმნით ბრძნებს, — წერდა ფან-ჟაკ რუსო,— თუ ბავშვებში ცელქებს ჩაკლავთ". სათამაშოებთან მანიპულაციები ემზარვა ერთწლიან ბავშვს შეათანაზომიეროს თავისი ხელების მოძრაობა, ახდენდეს თვალის კუნთების მუშაობის კოორდინაციას, ჭნიდეს მხედველობითს და ტაქტილურ წარმოდგენას საგნების თვისებებზე, და აი ზოგიერთი მშობელი სათამაშოებს რაც შეიძლება ახლოს ჰკიდებს. ფიქრობს, რომ ბავშვისათვის ასე სჯობს. სინამდვილეში კი ეს იწვევს თვალის კუნთების მეტისმეტად დაძაბვას და შეიძლება ხელი შეუწყოს სიელმის განვითარებას, გახადოს ბავშვი გაღიზიანებისადმი ზედმეტი მიდრეკილების მქონე. სიცოცხლის პირველ ორ თვეში საუკეთესო მანძილია 50-70 სმ, ხოლო უფრო გვიან — გაზვდილი მკლავების დისტანცია.

ადამიანის თვალი ფერებს უნდა განასხვავებდეს, მაგრამ ფერის შეგრძნება სრულებითაც არ არის თანდაყოლილი თვისება და მხოლოდ თანდათანობით ვითარდება, განუწყვეტელ მოზრდილობა ბავშვისა ბევრ ფერ-ფერ ფერებს ეკიდება. ბავშვი ჯერ ერთ ფერს ერჩევა, მერე — მეორეს, ბოლოს — ყველაზე ბევრ ფერს. ეს ფერი ბავშვისათვის ერთ-ერთ ფერად ეაფასება, ეს ფერი ბავშვისათვის ერთ-ერთ ფერად ეაფასება, ეს ფერი ბავშვისათვის ერთ-ერთ ფერად ეაფასება.

**ბავშვი ადვილად ეჩვევა ფერებს, ეჩვევა ფერებს, ეჩვევა ფერებ